ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სტუდენტი: თამარ იმედაშვილი
თემის ხელმძღვანელი: მარინა მესხი

,,შემაკავებელი და დამცავი ორდერების მნიშვნელობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე''

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2019

სარჩევი:

შესავალი 3

თავი 1: ქალის მიმართ ძალადობა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. 4

თავი 2: ძალადობის არსი 8

თავი 3.1 ქალის მიმართ ძალადობა როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დარღვევა 12

თავი 3.2 : ოჯახში ძალადობა 14

თავი 3.2.1: ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენა, მოძალადის და მსხვერპლის დადგენა. 16

თავი 4: ქალის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი მექანიზმები 20

თავი 4.1 შემაკავებელი ორდერი 20

თავი 4.2: დამცავი ორდერი 22

თავი 4.3: სტატისტიკა შემაკავებელ და დამცავ ორდერებთან დაკავშირებით 25

თავი 4.4: პოლიციის მოვალეობები ქალის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე 26

თავი 5: პრევენციის როლი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე 28

თავი 6: მსხვერპლის იდენტიფიცირება და მისთვის სტატუსის მინიჭება 32

თავი 6.1: მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის უფლებები და მისი დაცვის გარანტიები 33

თავი 6.1.1. მსხვერპლის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ,,ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ'' მიხედვით 37

თავი 6.1.2. მსხვერპლის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგადაწყვეტლების ,,ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ'' მიხედვით 40

თავი 6.2: მოძალადე, მისი უფლებები და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ასპექტები 42

თავი 7: დასკვნა 45

რეკომენდაციები გადასადგმელ ნაბიჯებთან დაკავშირებით: 48

ბიბლიოგრაფია: 50

შესავალი

საქართველოში, ბოლო პერიოდში ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა აქტუალურ პრობლემად გვევლინება. თითქმის ყოველდღიურად გვესმის განხორციელებული ძალადობრივი ფაქტების შესახებ და სამწუხაროდ არც თუ ისე იშვიათად ხდება სავალალო შედეგების დადგომა. შესაბამისად, ცხადია, რომ აღნიშნული პრობლემა, მისი გავრცელებული ხასიათიდან გამომდინარე საჭიროებს საზოგადოების და სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილ განსაკუთრებულ ყურადღებას და ხარვეზების გაანალიზებას. მოცემულ ნაშრომში განხილულ იქნება დღევანდელ რეალობაში არსებული საკანონმდებლო რეგულაციების ხარვეზები და შემოთავაზებულ იქნება მათი დახვეწისა და სრულყოფის გზები. ნაშრომში მიმოვიხილავ ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური ძალადობის სამართლებრივ რეგულირებას ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით. პრობლების ნათლად აღსაქმელად და გასაანალიზებლად წარმოდგენილ იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ასევე, ნაშრომის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პრევენციული ღონისძიებების როლის განხილვას, მათი მნიშვნელობის წარმოჩენას ძალადობის დაძლევაში. ნაშრომი აპელირებს საზოგადობის სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლების მნიშვნელობაზე, რაც პირდაპირ განსაზღვრავს ძალადობასთან ბრძოლის ეფექტურობას და ბოლოს, შესწავლილი საკითხის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნება შესაბამისი დასკვნა, რომელიც ორიენტირებულია ერთიანი, კოორდინირებული და შეთანხმებული ღონისძიებების გატარების მნიშვნელობაზე.

თავი 1: ქალის მიმართ ძალადობა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.

ქალის მიმართ ძალადობა 21-ე საუკუნის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. იგი ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურისა თუ რასის წარმომადგენლებში. პრობლემა უნივერსალურია და მსოფლიო მასშტაბებს მოიცავს, შესაბამისად საერთაშორისო კანონმდებლობა ეროვნული კანონმდებლობის პარალელურად აწესებს საერთო, ზოგად ,,ჩარჩოებს'' ქვეყნებისთვის, რათა ქალი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იყოს დაცული ძალადობისგან. საქართველოში, ბოლო პერიოდში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებმა ძალიან გავრცელებული ხასიათი მიიღო, რასაც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს. შესამაბისად, საჭირო გახდა ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლვენლად ეფექტური სტრატეგიის შემუშავება არსებული თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. პრობლემის უნივერსალური ხასიათიდან გამომდინარე, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის შეიქმნა მთელი რიგი კონვენციები და დეკლარაციები, რომელიც ითვალისწინებს ხელშემკვრელი ქვეყნების კულტურას, ტრადიციებს, სოციუმს, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობას და ადგენს შესაბამის წესებს რათა დაიცვას და განამტკიცოს ქალთა უფლებები. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა და ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა ამოსავალ წერტილად არის მიჩნეული და მიზნად ისახავს ქალების უფლებების აღიარებას, დაცვას, სარგებლობასა და განხორციელებას. პირველ რიგში კი ქალების უფლებას იცხოვრონ ძალადობის გარეშე.

2011 წლის 11 მაისს მიღებულ იქნა ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია'' ე.წ. ,,სტამბულის კონვენცია''- რომელიც არაორაზროვნად გმობს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმას. აღნიშნულ კონვენციას საქართველოს სახელმწიფომაც მოაწერა ხელი, რაც ცალსახად წინ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლისთვის, ვინაიდან კონვენცია აყალიბებს სრულიად თანამედროვე სტანდარტებს. აღნიშნული კონვენცია ხაზს უსვამს ისტორიულ, სოციალურ ფაქტორებს, რაც ხელს უშლის ქალების თანასწორუფლებიანობის განხორციელებას. მის მიზანს წარმოადგენს ,,დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისგან და აღკვეთოს, სისხლის

სამართლებრივად დევნოს და აღმოფხვრას ძალადობა.'' [1] სტამბულის კონვენციის ჰარმონიზაცია ქართულ კანონმდებლობაში თანდათან ხორციელდება.

სტამბულის კონვენცია უმნიშვნელოვანეს ცვლილებებზე ორიენტირებული სამართლებრივი დოკუმენტია. იგი წარმოადგენს პირველ საერთაშორისო, სამართლებრივად სავალდებულოდ შესასრულებელ ინსტრუმენტს, რომლის შესრულების ვალდებულებაც აქვს ყველა ხელშემკვრელ ქვეყანას. კონვენცია გვთავაზობს ღონისძიებათა თანამიმდევრულ კომპლექსს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის როგორც პრევენციის, ისე მათი აღმოფხვრისათვის.

კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობა აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა და ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ფორმა და მოიაზრებს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომელსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს: ქალთა მიმართ ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიური ზიანი ან ტანჯვა. მათ შორის ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, ძალდატანება ან თავისუფლების თვითნებური ხელყოფა, ადგილი ექნება მას საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.[2]

ოჯახში ძალადობა კი განმარტებულია როგორც ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიური ძალადობის ყველა აქტი, რომელიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში, ან ყოფილ თუ ამჟამინდელ მეუღლეებსა და პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა დამნაშავე მსხვერპლთან ერთად ცხოვრობდა თუ არა ერთ საცხოვრებელში.[3]

სტამბულის კონვენცია აპელირებს ძალადობის პრევენციის მნიშვნელობაზე საკანონმდებლო ჭრილში, რათა დაცულ იქნეს ქალთა უფლებები ეროვნულ კონსტიტუციებში და სხვა საკანონმდებლო აქტებში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაფიქსირებით და მისი პრაქტიკული განხორციელების უზრუნველყოფით.

---

[1] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 1, ,,ა'' ქვეპუნქტი, 11/05/2011

[2] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 3, ,,ა''ქვეპუნქტი, 11/05/2011

[3]ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 3, ,,ბ''ქვეპუნქტი , 11/05/2011

კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მხარეები მიიღებენ ყველა საჭირო და აუცილებელ ზომებს, რათა აღმოიფხვრას ცრურწმენები, ჩვევები, ტრადიციები თუ სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპულ როლს.

კონვენციის შემდგომი მუხლები საუბრობს მასმედიის როლზე ქალთა ძალადობისგან დაცვისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, ვინაიდან დიდწილად მედიაზეა დამოკიდებული რა კუთხით გააშუქებს მოვლენებს და რა როლს ითამაშებს საზოგადოებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებისთვის, ძალადობის, გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის თუ სხვა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ კუთხით განსაკუთრებით საგულისხმოა ოჯახური ძალადობის შემთხვევები, ვინაიდან ქართულ რეალობაში როგორც უკვე აღვნიშნე, ტრადიციებიდან გამომდინარე ქალები მალავენ მათზე განხორციელებულ მსგავს ძალადობას. ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებებზე სათანადოდ ინფორმირება ქალებს მისცემს საშუალებას გაიაზრონ თუ რამდენად ირღვევა მათი უფლებები ეროვნულ კანონმდებლობასა თუ კულტურაში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია განათლების სისტემის როლი ძალადობის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მიზეზთა აღმოფხვრაში.

სტამბულის კონვენციის სამართლებრივ ღირებულებას წარმოადგენს ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფორმების სისტემატიზაცია, რათა მკაფიოდ იყოს განმარტებული ძალადობის შინაარსობრივი გამოხატულება, რაც არაორაზროვნად გამიზნულია იმისკენ, რომ მაქსიმალურად იყვნენ ქალები ძალადობის შესახებ ინფორმირებულნი და მისგან დაცულნი.

ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან ბრძოლისთვის, სამართლებრივად ღირებულ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს გაეროს კონვენცია ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.'' კონვენციის მიზანს წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მიმართ რწმენის განმტკიცება.[4]

[4] გაეროს კონვენცია ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'', მუხლი 3, 18/12/1979

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მიერ ქალთა დისკრიმინაცია განიმარტა როგორც, ნებისმიერი განსხვავება, გამონაკლისი ან შეზღუდვა სქესობრივი ნიშნით, რომელის მიზანს წარმოადგენს შელახოს და გამორიცხოს ქალთა მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავიუსფლებების აღიარება, სარგებლობა ან განხორციელება.[5]

კონვენციის მიხედვით, გენდერული ნიშნით ძალადობა წარმოადგენს დისკრიმინაციის ფორმას, რაც სერიოზულად აფერხებს ქალის შესაძლებლობას თანასწორუფლებიანად ისარგებლოს თავისი უფლებებითა თუ თავისუფლებებით.

ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'', რომლის მიზანს წარმოადგენს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, ენის, სქესის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილის თუ სხვა რაიმე ნიშნის მიუხედავად.[6]

ქართულ რეალობაში გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ვინაიდან ჩვენში გაბატონებული პარტიარქალური დამოკიდებულება და არსებული გენდერული სტერეოტიპები ქალთა მიმართ განხორციელებული ან/და ოჯახში განხორციელებული ძალადობისთვის ტოლერანტულ გარემოს ქმნის.

ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან საბრძოლველად მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს ,,საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ''. გენდერი არის სოციალური

[5] გაეროს კონვენცია ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'', მუხლი 1, 18/12/1979

[6] საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' მუხლი 1, 02/05/2014

სქესი, განსხვავება ქალსა და კაცს შორის, რომელიც განპირობებულია არა ანატომიური, არამედ სოციალური მოცემულობით, საზოგადოებაში გაბატონებული ქალისა და კაცის როლის თავისებურებებით, რაც მოიაზრებს ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ განსხვავებებს.[7]

გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესწავლა ცხადყოფს, რომ ქალები უფრო მეტად არიან ძალადობის მსხვერპლნი ვიდრე მამაკაცები. სწორედ ამიტომ გენდერულად მგრძნობაირე პოლიტიკის გატარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობასთან აქტიურად და შედეგიანად ბრძოლისთვის.

თავი 2: ძალადობის არსი

ძალადობა მსოფლიო თუ ქართული რეალობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და სენსიტიური პრობლემაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ქალების დაახლოებით 70% განიცდის ძალადობას ცხოვრების მანძილზე. აღსანიშნია ის გარემოება, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ვლინდება ყველა ასაკისა და სოციალური წარმომავლობის ქალის წინააღმდეგ.

კრიმინოლოგების და სოციოლოგების მიერ შემუშავდა ძალადობის დეფინიცია. ერთ-ერთი განმარტების თანახმად ძალადობა არის ძალაუფლების ან/და ბატონობის მანიფესტირება, რომლის მიზანია ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფებისთვის ზიანის მიყენება.[8]

ოჯახში ძალადობა წარმოადგენს მორჩილების მისაღწევად გამიზნულ ქმედებათა ერთობლიობას, სადაც ერთი მხარე მოძალადეა, ხოლო მეორემ იცის რომ აგრესიისგან დაზღვეული არ არის. მოძალადის მიზანია ძალაუფლებისა და კონტროლის სადავეების მართვა, რასაც იგი ახორციელებს ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოყენების მეშვეობით.

ოჯახში ძალადობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვდასხვა სიმწვავით იჩენს თავს, იმის მიხედვით რა საკანონმდებლო ან ჩვეულებითი ნორმებითაა იგი შეზღუდული. მძიმე ეკომიკური ფონი, რელიგიის გავლენა, სოციალურ-კულტურული ფაქტორი და რაც მთავარია ტრადიციული გენდერული

[7] საქართველოს კანონი ,,გენდერული თანასწორობის შესახებ'' მუხლი 3, პუნქტი 1, ,,ა'' ქვეპუნქტი, 26/03/2010

[8] კრიმინოლოგია, მ.შალიკაშვილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2017წ., გვ.233

როლები დიდწილად განაპირობებს ქვეყანაში ქალთა სამართლებრივ მდგომარეობას.

მსოფლიო თუ ქართულ რეალობაში, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრობლემა მიიჩნეოდა ,,კერძო'' პრობლემად, რომელიც ოჯახის ფარგლებს გარეთ არ უნდა გასულიყო. შესაბამისად, საზოგადოების და ხელისუფლების სათანადო ორგანოების მიერ, აღნიშნული პრობლემის სერიოზულად აღქმა არ ხდებოდა, რაც კიდევ უფრო უმწეო მდგომარეობაში აყენებდა ქალებს და დაუცველს ხდიდა მათ. აღნიშნული დამახინჯებული საზოგადოებრივი აზრის დომინირების ფონზე ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა პირადი ცხოვრების ნაწილად ითვლებოდა და ქალთა უმრავლესობას არ სურდა მათ მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ფაქტის გამჟღავნება. სოციუმის ზეწოლის გარდა ძალადობის მსხვერპლის პრობლემას წარმოადგენდა ქვეყნის შიდა კანონმდებლობასა და პოლიტიკაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმი. დღეევანდელ რეალობაში, მიუხედავად არსებული პროგრესისა, ჯერ კიდევ საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნება ასამაღლებელი და დასახვეწია ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან საბრძოლველად.[9]

ოჯახში ძალადობა წარმოადგენს სისტემატიურ პროცესს, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლისგან და დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე. ,,ძალადობის ციკლი'' სამ ფაზად იყოფა, ესენია: ,,დაძაბულობის დაწყების ფაზა'', ,,ძალადობის ფაზა'' და ,,თაფლობისთვის ფაზა'' რა დროსაც მოძალადე ცდილობს შეურიგდეს მსხვერპლს.

2015 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა ,,სტამბულის კონვენცია'', რომელის მე-3 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას და მათი დისკრიმინაციის ფორმას. ძალადობა ქალების წინააღმდეგ მოიაზრებს ,,გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების

[9]შიშისგან დაცული ძალადობისაგან დაცული, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, რედაქტირებული ვერსია, 2015 წ., გვ.22

თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს- საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.”[10]

კონვენცია ადგენს ქმედებათა მთელი წყების კრიმინალიზაციას რათა მაქსიმალურად დაიცვას ქალები ძალადობისგან და ნულოვან ტოლერანტობას უცხადებს ძალადობის ყველა ფორმას, როგორიცაა:

ფსიქოლოგიური ძალადობა - აღნიშნული წარმოადგენს ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას, მას ხშირად ემოციური ძალადობის სახელითაც მოიხსენიებენ. ფსიქოლოგიური ძალადობაა ,,წინასწარ განზრახული ქცევა, რომელიც ადამიანზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს, იძულების ან მუქარის გამოყენებით.”[11] [11] იგი მოიაზრებს გამიზნულ დაშინებას, შანტაჟს, შევიწროებას ან მუქარას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს.

ადევნება-,,პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევაა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს.”[12] აღ. გულისხმობს ადამიანის განმეორებით შეშინებას ადევნებით, არასასურველ კომუნიკაციაში შეყვანით ან ინფორმირებით, რომ მათ მუდმივად აკვირდებიან, რაც ამ ადამიანს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შიშს აღუძრავს.

ფიზიკური ძალადობა- ძალადობის ყველაზე გავრცელებული, საშიში და ზიანის მომტანი ფორმაა. ასეთი ფორმის ძალადობაა ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც იწვევს ტკივილს ან/და სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას. ფიზიკურ ძალადობას წარმოადგენს მაგალითად დარტყმა, ხელის კვრა.

სქესობრივი ძალადობა გაუპატიურების ჩათვლით- ნებისმიერი სქესობრივი ხასიათის აქტი, რომელიც განზრახ არის ჩადენილი ვინმეს მიმართ მისი თანხმობის გარეშე.

იძულებითი ქორწინება- ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მუქარის განზრახ გამოყენების აქტი, რომელიც ჩადენილია იმ მიზნით, რომ ზრდასრული ადამიანი ან ბავშვი აიძულონ დაქორწინდეს; ასევე

---

[10] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 3, ,,ა”ქვეპუნქტი, 11/05/2011[12]

[11] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 33, 11/05/2011

[12] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 34, 11/05/2011

იძულებითი ქორწინება მოიცავს ბავშვის ან ადამიანის სხვა ქვეყანაში წაყვანას იძულებით ქორწინებაში შეყვანის მიზნით.

ქალის სასქესო ორგანოების (გენიტალიების) დასახიჩრება- მოიცავს ყველა ისეთ პროცედურას, რომელიც განზრახ აზიანებს ან ცვლის ქალის სასქესო ორგანოებს არა-სამადიცინო მიზნებით. ასეთი ქმედება როგორც წესი სრულდება მსხვერპლის თანხმობის გარეშე. კონვენცია ითხოვს სისხლის სამართლის სანქციებს დაკისრებას მათთვისაც, ვინც ამ ქმედების ჩამდენს სასქესო ორგანოების დასახიჩრების პროცედურის შესრულებაში ეხმარება.[13]

იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია- მოიცავს აბორტის გაკეთებას ქალისათვის მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე და ისეთ ქირურგიულ ჩარევას, რომლის მიზანი ან შედეგია ქალის მიერ ბუნებრივი რეპროდუქციული უნარის დაკარგვა მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის ან გააზრების გარეშე.[14]

სექსუალური შევიწროება-სქესობრივი ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი ვერბალური, არავერბალური ან ფიზიკური ქმედება სხვა ადამიანის ღირსების შელახვის მიზნით ან შედეგით, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს ქმედება ქმნის დამაშინებელ, დამაკნინებელ, დამამცირებელ ან მტრულ გარემოს.[15]

ძალადობა წარმოდგენს როგორც საზოგადოების ასევე სახელმწიფოს სამართლებრივ და სოციალურ პრობლემას. ის ხელს უშლის როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოების განვითარებას. შესაბამისად, ძალადობასთან ბრძოლა უნდა განხორციელდეს ერთობლივი აქტიური ძალისხმევით, ვინაიდან სწორედ ადამიანი წარმოადგენს სახელმწიფოს მთავარ ღირებულებას.

---

[13] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 38, 11/05/2011

[14] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 39, 11/05/2011

[15] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 40, 11/05/2011

თავი 3.1 ქალის მიმართ ძალადობა როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დარღვევა

ძალადობას ფესვები იმ ნიადაგში აქვს გადგმული, რომელის საზოგადოებაშიც ქალთა და მამაკაცთა შორის უთანასწორობა არსებობს. ძირითადად, მას ადგილი აქვს შეუწყნარებლობისა და მიუღებლობის კულტურულ გარემოში. ძალაუფლების დისბალანსი თავის მხრივ იწვევს ქალთა მიმართ განსხვავებულ მიდგომებს და მათ დისკრიმინაციას , რაც ქალებს ძალადობრივი სიტუაციიდან თავის დაღწევას ურთულებს. ქალთა უფლებების დაცვა წარმოადგენს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლით განსაზღვრულია, რომ ,,ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება'', მე-5 მუხლის მიხედვით კი ,,არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სხვა არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას''. კონვენციის მე-8 მუხლი კი ადგენს სამართლაინი სასამართლოს უფლებას და განმარტავს, რომ ,,ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ეფექტიანად აღადგინოს თავისი უფლებები კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოში, თუკი დაირღვა მისი კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული უფლებები.''[16]

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველივე მუხლში აღიარებულია თანასწორუფლებიანობა. აღნიშნული უფლების განვრცობა მოხდა როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტების მეშვეობით. კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლით აღიარებულია თანასწორობის პრინციპი, მე-3 მუხლი კი ითვალისწინებს ქალის და მამაკაცის პოლიტიკურ და სამოქალაქო თანასწორობას. [17] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-3 მუხლი უზრუნველყოფს აღნიშნული უფლებებით თანაბრად სარგებლობას ქალისა და მამაკაცის მიერ. [18] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის თანახმად, ,,სიცოცხლის უფლება

[16] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 3, მუხლი 5, მუხლი 8., 10/12/1948
[17] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 2, მუხლი3, 16/12/1966
[18] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 3, 16/12/1996

თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა და ის დაცულია კანონით''.[19] აქვე აღსანიშნია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლით განმტკიცებული უფლება -გენდერული ან რაიმე სხვა ნიშნით დისკრიმინაციისგან დაცვა, რაც ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლშია გარანტირებული.

საერთაშორისო კანონმდებლობის პარალელურად ეროვნული კანონმდებლობაც იცავს და ამტკიცებს ქალთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. პირველ რიგში აღსანიშნია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი, რომელიც ეხება ადამიანის ძირითად უფლებებს, კერძოდ მე-9 მუხლი, რომლის მიხედვითაც ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა.[20]

ადამიანი წარმოადგენს ინდივიდს, რომელსაც აქვს საკუთარი პასუხისმგებლობით ცხოვრების დამოუკიდებლად ჩამოყალიბების უნარი. აღნიშნული უნარიდან გამომდინარე თითოეული ადამიანი უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობით. ღირსების ძირითადი უფლებით დაცული სფერო მოიცავს აბსოლუტურად ყველა ადამიანს. ღირსების უფლება ირღვევა, მაშინ როდესაც ადამიანის მიმართ ხდება არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა. შესაბამისად, ღირსების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური ხელშეუვალობის, სულიერი სიმშვიდის დარღვევა, მისი სისტემატური დამცირება და შეურაცხყოფა. ყოველივე ზემოღნიშნულიდან გამომდინარე ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობა, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ცალსახად იწვევს ადამიანის ღირსების უფლების შელახვას. აქვე უნდა აღვნიშნოთ კონსტიტუციის მე-10 მუხლი, რომლითაც ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობაა დაცული. აღნიშნული უფლება იცავს ადამიანს ნებისმიერი სახის ზემოქმედებისგან, რომელიც ტკივილს იწვევს მასში და ამით უთანაბრდება ფიზიკურ დაზიანებას.[21]

ასევე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი, რომელიც განამტკიცებს თანასწორობის უფლებას, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია და

[19] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, 16/12/1966
[20] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9
[21] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 10

აკრძალულია მათი რაიმე ნიშნით დისკრიმინაცია, მათ შორის გენდერული ნიშნითაც.[22]

როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვა წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია მაქსიმალურად დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისგან და უზრუნველყოს გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ჩამოყალიბება ვინაიდან ძალადობა პირდაპირ და უხეშად ლახავს ქალთა უფლებებს.

თავი 3.2 : ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობის საკითხი ქართული რეალობის აქტუალური პრობლემაა. იგი არ ცნობს სოციალურ წარმომავლობას და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სიმწვავით ხასიათდება, იმის გათვალისწინებით თუ რა ჩვეულებითი თუ საკანონმდებლო ნორმებითაა იგი შეზღუდული. აღნიშნული პრობლემის სენსიტიურობას განაპირობებს სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი რელიგიური, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური ფაქტორები. ოჯახური ძალადობის სიხშირესა და სიმწვავეს დიდწილად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული ტრადიციული გენდერული როლები და სტერეოტიპული მიდგომები.

ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ კონტროლისა და ძალაუფლების დამყარების სურვილი. მოძალადე მსხვერპლზე გავლენის მოპოვების მიზნით მიმართავს ძალადობრივ გზებს, რის შედეგადაც მოძალადის მიერ მოპოვებული კონტროლი გამოიხატება მსხვერპლით მანიპულირებაში, მის იზოლაციასა და თავისუფალი ნების გამოვლენის შეზღუდვაში.

ოჯახში ძალადობა სისტემატიური, განგრძობადი ხასიათის დანაშაულია. ის წარმოადგენს ,,ძალადობის ციკლს'', რომელიც სამ ფაზად იყოფა, ესენია: ,,დაძაბულობის დაწყების ფაზა'' – აღნიშნული ფაზა ხასიათდება მოძალადესა და მსხვერპლს შორის დაძაბულობის ესკალაციით, სიტყვიერი შეურაცხყოფით, მცირე შეხლა-შემოხლით.

,,ძალადობის ფაზა''- მოცემული ფაზა გრძელდება 2-24 საათის განმავლობაში, რა დროსაც მსხვერპლი სრულიად უძლურია, განიცდის

[22] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11

ძალადობას და მას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია სიტუაციაზე პირველი ფაზისგან განსხვავებით.

,,თაფლობისთვის ფაზა''- აღნიშნულ ფაზას ახასიათებს მოძალადის მხრიდან მსვერპლთან შერიგების სურვილი, რაც მსხვერპლს ილუზიას უჩენს, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, თუმცა გადის დრო, მატულობს დაძაბულობა და ძალადობის ციკლი მეორდება, ბორბალი ტრიალებს![23]

2006 წლის 25 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ''. აღნიშნული დოკუმენტის მიღება უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ნაბიჯს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისთვის და აძლევდა მათ შესაძლებლობას გადაედგათ რეალური ნაბიჯები, რათა დაეწყოთ ახალი ცხოვრება ძალადობის გარეშე.

აღნიშნული კანონის მე-3 მუხლი განმარტავს ოჯახში ძალადობას, რაც ,,გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.''[24]

როგორც ვხედავთ კანონი პირდაპირ ასახელებს ოჯახური ძალადობის ფორმებს, რომელიცაა:

ფიზიკური ძალადობა- ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, წამება, მოქმედება რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

ფსიქოლოგიური ძალადობა-შეურაცხყოფა, მუქარა, შანტაჟი, დამცირება ან სხვა ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

ეკონომიკური ძალადობა- ,,ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების,

[23] გ.გოგიბერიძე, მ.ფერაძე, გ.მიქანაძე, ნ.სააკაშვილი; სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის, თბ., 2011წ., გვ 14-15

[24] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 3, 25/05/2006

აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას.''[25]

სექსუალური ძალადობა-სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

იძულება-ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან საკუთარ თავზე განიცადოს ზემოქმედება თავისი ნების საწინააღმდეგოდ.

უგულებელყოფა- ძალადობის ფორმა, რომელიც მოიზარებს: მშობლის, ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობას, საფრთხისგან დაუცველობას,საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვას, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობას მაშინ, როდესაც მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს აქვს შესაძლებლობა, სათანადო ინფორმაცია და ხელიც მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 -ე პრიმა მუხლი განმარტავს ოჯახში ძალადობას, მუხლის დისპოზიცია აერთიანებს ორ ქმედებას, რომელთაგანაც თითოეული იძლევა დანაშაულის შემადგენლობას : 1.ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ფიზიკური ძალადობა და 2. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა, რაც გამოიხატულია სისტემატური ხასიათის შეურაცხყოფით, დამცირებით, შანტაჟით და იწვევს დაზარალებულის ტანჯვას, ანუ მორალურ ზიანს აყენებს მას. აქვე აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ თუკი სახეზე იქნება სისტემატური ფიზიკური ძალადობა, ქმედება გასცდება 126-ე პრიმა მუხლის ფარგლებს და კვალიფიკაცია მოხდება სსკ-ს შესაბამისი მუხლის მიხედვით.[26]

თავი 3.2.1: ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენა, მოძალადის და მსხვერპლის დადგენა.

საქართველოში ოჯახში ძალადობის პრობლემა ოდითგანვე მიიჩნეოდა ,,ოჯახს შიდა საქმედ'', რომელიც მის ფარგლებს გარეთ არ უნდა გასულიყო. შესაბამისად, საზოგადოებისა თუ ხელისუფლების სათანადო ორგანოების

[25] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 4, ,,ე'' ქვეპუნქტი, 25/05/2006

[26] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 126[1]

მიერ აღნიშნული პრობლემის სერიოზულად აღქმა არ ხდებოდა. მსგავსი მიდგომები კი თვის მხრივ, კიდევ უფრო უმწეოს ხდიდა ძალადობის მსხვერპლ ქალთა მდგომარეობას. აღნიშნული დამახინჯებული საზოგადოებრივი აზრის დომინირების ფონზე, ოჯახში ძალადობა ქალების პირადი ცხოვრების ნაწილად ითვლებოდა და მათ უმრავლესობას არ სურდა მათზე განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების გამჟღავნება. სოციუმის მხრიდან ზეწოლის გარდა , ძალადობის მსხვერპლის პრობლემას ასევე, ქვეყნის შიდა კანონმდებლობასა და პოლიტიკაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმი წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, ოჯახში ძალადობისთვის დამახასიათებელია ისეთი ძალადობრივი ქმედებები, რომელიც ხორციელდება ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს შორის. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს პრობლემის სენსიტიურობას და ძალადობის მსხვერპლის ტრამვირების მაღალ ხარისხს, ვინაიდან იგი მოძალადისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია და ნებისმიერ დროს შეიძლება განხორციელდეს მასზე თავდასხმა. ძალადობრივი ქმედების განმეორებითობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადეკვატური რეაგირება მოჰყვა მოძალადის საქციელს. შესაბამისად ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა საკმაოდ რთული პროცესია, ვინაიდან ძალადობა ხორციელდება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ და ამის შესახებ ინფორმაცია ხშირად დახურულ კარს მიღმა რჩება.

ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოსავლენად უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს. აუცილებელია, რომ მათი მხრიდან ძალადობრივ ფაქტზე მომხდარი რეაგირება დროული და ეფექტური იყოს. პოლიციის როლი ოჯახში ძალადობის საკითხებზე შეუცვლელია, ვინაიდან მას პირველადი შეხება აქვს ძალადობის ფაქტთან, მსხვერპლთან თუ მოძალადესთან. შესაბამისად პოლიციის მიერ ძალადობის ფაქტების სრულყოფილი შესწავლა, პრობლემის სრულფასოვნად გააზრება, რისკის შეფასება, შესაბამისი ზომების განსაზღვრა და გამოყენება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას ძალადობის აღკვეთისთვის და მსხვერპლის სათანადო დაცვისა და დახმარებისთვის.

,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' კანონის მე-9 პრიმა მუხლის მიხედვით ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და შესაბამისი რეაგირების მოხდენას უზრუნველყოფენ როგორც სამართალდამცავი ისე სასამართლო ორგანოები, ასევე კანონით დადგენილი წესით- მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. აღსანიშნია ის გარემოებაც,

რომ ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველი იდენტიფიკაციის, მასზე რეაგირების მოხდენის მიზნით კანონი შესაბამისი ორგანოებისადმი მიმართვას ავალდებულებს სამედიცინო დაწესებულებებს, არასრულწლოვანთა შემთხვევაში- აგრეთვე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.[27]

როგორც უკვე აღვნიშნე, ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისას პოლიციას ეკისრება ოჯახში ძალადობის ფაქტთან, მსხვერპლთან თუ მოძალადესთან პირველი შემხებლობა, ვინაიდან იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, განურჩევლად იმისა მიმართა მას მოწმემ, დაზარალებულმა თუ კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, როგორც ძალადობის მსხვერპლის დახმარება, ისე მოძალადის რეაბილიტაცია სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისთვის აუცილებელია მოძალადის და მსხვერპლის იდენტიფიცირება, რომელიც უნდა მოხდეს საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას, საქმესთან დაკავშირებული და ურთიერთშეჯერებული მტკიცებულებების გათვალისწინებით.

,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, პოლიციის უფლებამოსილი პირი, ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღებისას ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და შემთხვევის ადგილზე გამოცხადებისთანავე მიიღოს ზომები ძალადობრივი ქმედებების აღსაკვეთად. სწორედ პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესაბამისი მოქმედებების განხორციელება ძალადობის რეალური მსხვერპლის და მოძალადის დასადგენად.

პოლიციის მიერ განსახორციელებელ მოქმედებებს წარმოადგენს: სავარაუდო მსხვერპლისა და მოძალადის განცალკევება, რადგან საუბარი ოჯახის თითოეულ წევრთან შედგეს მეორისგან დამოუკიდებლად; ძალადობის მსხვერპლის ნდობის მოპოვება; შესაბამისი განმარტების მიცემა გამოსაკითხი პირისათვის, რომ აუცილებელია ოჯახში ძალადობაზე დროული რეაგირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტის

[27] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 9[1] , 25/05/2006

გამწვავება; გამოსაკითხი პირისთვის თავისუფალი დროის მიცემა, რათა მან ისაუბროს თავისუფლად, თავისუფალი თხრობით; სავარაუდო მსხვერპლისთვის მისი უფლებების და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და განმარტება, რომ აღნიშნული საკითხი კონფიდენციალური ხასიათისაა და დაცულია სახელმწიფოს მიერ; ზუსტი განმარტების მიცემა კონფლიქტის მონაწილე მხარეთათვის გატარებული ღონისძიებების სამართლებრივი შედეგების შესახებ.[28]

პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, ასევე გატარებული ზომების შესახებ ადგენს ოქმს, რომელშიც მიუთითებს მსხვერპლის და მოძალადის შესახებ ინფორმაციას. რაც შეეხება უშუალოდ მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას, აღნიშნულს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებთან (შსს, საგამოძიებო ორგანოები, სასამართლო) ერთად უზრუნველყოფს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი.[29]

ოჯახში ძალადობის ფაქტისას, მოძალადის და მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცესს ახასიათებს მთელი რიგი სირთულეები, ვინაიდან მსხვერპლისთვის რთულია სამართალდამცავებისთვის მასზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. გარდა ამისა არსებობს შიშის ფაქტორი, მსხვერპლი პესიმისტურადაა განწყობილი და მას მიაჩნია, რომ მდგომარეობა მაინც არ გამოსწორდება. ასევე, მას აქვს სირცხვილის შეგრძნება, ვინაიდან საზოგადოება ხშირად არასწორად რეაგირებს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე და შესაძლებელია ამ ყოველივეს მოჰყვეს მსხვერპლის სტიგმატიზაცია.

[28] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 16, 25/05/2006

[29] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 16[1], 25/05/2006

თავი 4: ქალის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი მექანიზმები

ქალის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენისთვისა და აღკვეთისთვის გამოიყენება როგორც ადმინისტრაციულსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი ისე სისხლისსამართლებრივი მექანიზმები.

აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმები თითოეული ინდივიდუალური შემთხვევის მიხედვით შეირჩევა. კერძოდ, სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმი გამოიყენება ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება ხდება მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი ფაქტის ნიშან-თვისებები სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა. ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები კი გამოიყენება მაშინ, როდესაც სამართალდარღვევის ხასიათი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმების გამოყენებითაცაა შესაძლებელი.[30] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენისა და აღკვეთისთვის ადმინისტრაციულსამარ-თლებრივ მექანიზმს წარმოადგენს დამცავი და შემაკავებელი ორდერები.

ძალადობის ფაქტზე დროული და ეფექტური რეაგირებისთვის, კანონმდებლობით დადგენილი ორგანოს თუ ორგანოების მიერ, როგორც ძალადობის მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად ისე მოძალადის მოქმედებების შესაღზუდად, დროებითი ღონისძიების სახით ხდება დამცავი ორდერის ან შემაკავებელი ორდერის გამოცემა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

თავი 4.1 შემაკავებელი ორდერი

შემაკავებელი ორდერი წარმოადგენს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტს. აღნიშნული ორდერით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. მისი ამოქმედება ხდება გამოცემისთანავე და იგი 24 საათის განმავლობაში ეგზავნება/ჰბარდება მსხვერპლსა და მოძალადეს.

[30] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 9, 25/05/2006

შემაკავებელი ორდერის ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, ვინაიდან შესაძლებელი იყოს დროული და ეფექტური რეაგირების მოხდენა ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისთვის. ასევე, მისი ასლის გადაგზავნა ხდება შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტისთვის, შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში აღსარიცხად და სტატისტიკური მონაცემების წარმოების მიზნით. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით, იგი იწერება სამართალწარმოების ენაზე, ნათლად და გასაგებად. მისი დაწერა შესაძლებელია ხელით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. [31]

შემაკავებელი ორდერის რეკვიზიტებია: გამოცემის ადგილი, თარიღი; ინფორმაცია მოძალადის შესახებ: მისი სახელი, გვარი, დაბადების ადგილი, დრო, საცხოვრებელი ადგილი, პროფესია; გარემოებები, რომელიც საფუძვლად უდევს მის გამოცემას; მოქმედებები, რომელთა განხორციელებაც ეკრძალება მოძალადეს. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მე-10 მუხლის 3[2] პუნქტი პირდაპირ ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც შეიძლება აეკრძალოს მოძალადეს. აღნიშნული მუხლის მიხედვით შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

,,ა)მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან გარიდების საკითხს, მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებას და მათ თავშესაფარში მოთავსების საკითხებს;

გ) მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

დ) მოძალადის არასრულწლოვნისაგან განცალკევების საკითხებს;

ე) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

ვ) მოძალადისათვის ამ ორდერის მოქმედების პერიოდში ან ამ ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შეძენის ან მის შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის

(მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან დროებით ჩამორთმევის პირობებს;

ზ) მოძალადის გაფრთხილებას ამ ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;"[31]

ასევე კანონი იძლევა შესაძლებლობას, ორდერით განისაზღვროს სხვა ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის. შემაკავებელ ორდერს ხელს აწერენ მისი გამოცემის უფლების მქონე პირი და მსხვერპლი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის 1079-ე ბრძანებით დამტკიცებულ იქნა შემაკავებელი ორდერის, მისი ოქმის, ფორმები.[32] ასევე მათი შედგენის უფლებამოსილი პირები. აღ.ბრძანებაში 2010 წლის 24 მარტს შსს მინისტრის 333-ე ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილებები და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა შემაკავებელი ორდერისა და მისი ოქმის ფორმები.[33] ბრძანების მიხედვით, შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილი სუბიექტები არიან შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი თანამდებობის პირები. (პატრულ-ინსპექტორი, უბნის ინსპექტორი, ოცეულის მეთაური,.)

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ პოლიციელთა მაღალკვალიფიციური მოქმედება ძალადობის ფაქტებზე და მათი მხრიდან გამოვლენილი პროფესიონალიზმი პირდაპირ კავშირშია კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმების მოქმედების ეფექტურობასთან.

თავი 4.2: დამცავი ორდერი

დამცავი ორდერი წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემულ სამართლებრივ აქტს, რომელითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

,,დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

---

[31] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხლი 10 , 25/05/2006

[32] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხლი 10, პუნქტი 3^2, 25/05/2006

[33] შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1079, თბ., 11 სექტემბერი, 2006 წ.

ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;

გ) მოძალადის ვალდებულებას – არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის;

დ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

ე) მოძალადის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;

ვ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

ზ) მოძალადისათვის იარაღით, მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის მოპოვების უფლების აკრძალვას ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში;

თ) მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა, გონივრულ ფარგლებს მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს;

ი) მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსების, მისი რეაბილიტაციის ღონისძიებებისა და რეაბილიტაციაზე ზედამხედველობის საკითხებს;

კ) გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;

ლ) სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.''[34]

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხვნის უფლება აქვს თავად მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, ან/და მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს იურიდიულ, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ

[34] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 21[15]

დახმარებას. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში კი ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.[35]

დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით. ორდერის მოქმედების კონკრეტულ ვადის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს. სასამართლო განცხადებას მისი კანცელარიაში რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას აღნიშნული ორდერის გამოცემის, გამოცემაზე უარის თქმის, გაუქმების ან მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარეებს მისი მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემათ.

თუკი არსებობს საფრთხე მსხვერპლის, ოჯახის სხვა წევრის მიმართ, შესაძლებელია ორდერის მოქმედების ვადის შეცვლა. აღნიშნულ საკითხს წყვეტს თავად სასამართლო. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, დამცავი ორდერის ვადის გაგრძელება დასაშვებია ორდერის მოქმედებისას, დამატებით არა უმეტეს 3 თვით.[36]

როგორც ვხედავთ, შემაკავებელი და დამცავი ორდერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც გამოცემის უფლებამოსილი სუბიექტის, მოქმედების ვადის, ძალაში შესვლის სპეციფიურობის, ისე მათ მიერ გასათვალისწინებელი საკითხების რაობით. მოცემული კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას.

მნიშვნელოვან საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381[1] მუხლის მიხედვით.[37]

---

[35] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 21[12], პუნქტი 1, პუნქტი 2

[36] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 12, 25/05/2006

[37] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 381[1]

თავი 4.3: სტატისტიკა შემაკავებელ და დამცავ ორდერებთან დაკავშირებით

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ იქნა 2018 წლის მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები ოჯახური დანაშაულის შემთხვევებზე, რომლის მიხედვით დგინდება, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მთლიანი წლის განმავლობაში, გამოცემულ იქნა 7646 შემაკავებელი ორდერი. აღნიშნული ორდერების ოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, კერძოდ 3182 ორდერი ფიქსირდება თბილისში. მოცემული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მსხვერპლი ქალების რაოდენობა საგრძნობლად აღემატება საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა რიცხვს. კერძოდ, სახეზეა 5875 მდედრობითი სქესის და 1018 მამრობითი სქესის მსხვერპლი.

უშუალოდ ძალადობის ფორმების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კი ყველაზე ხშირად გამოყენებული ძალადობის სახეს ფსიქოლოგიური ძალადობა წარმოადგენს. კერძოდ, 2018 წლის განმავლობაში დაფიქსირებულია ფსიქოლოგიური ძალადობის 7109 შემთხვევა. რაც შეეხება ფიზიკურ ძალადობის შემთხვევას, მისი მაჩვენებელი 1705–ს უტოლდება. მოცემული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დაფიქსირებულია ეკონომიკური ძალადობის 198, სექსუალური ძალადობის 25, უგულებელყოფის 68 და იძულების 74 შემთხვევა.[38]

აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ 2018 წელს გენერალური ინსპექციის მიერ, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ჩატარებული სამსახურეობრივი შემოწმების საფუძველზე, დისციპლინური სახდელი დაეკისრა პოლიციის 10 მოსამსახურეს. უფრო კონკრეტულად, ოჯახურ დანაშაულზე არასათანადო რეაგირების გამო დისციპლინური სახდელი დაეკისრა პოლიციის 4, ხოლო ოჯახური ძალადობის უშუალოდ ჩადენის გამო 6 თანამშრომელს, რომელთაგან 3 გათავისუფლებულ იქნა შსს-ს რიგებიდან. კანონმდებლობის მიხედვით, შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემისთანავე პოლიციის თანამშრომლის მიმართ ხდება სამსახურეობრივი იარაღის ჩამორთმევა, რაც პრენევციული თვალსაზრისით მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.[39]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს დაკისრებული ვალდებულება, რომ აქტიურად იმუშაოს როგორც ოჯახური დანაშაულის, ისე ქალთა მიმართ ძალადობის და ასევე დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის პრევენციისა და დანაშაულის თითოეულ ფაქტზე დროული და ეფექტური რეაგირების მხრივ.

---

[38] https://info.police.ge/page?id=125&parent_id=102

[39] https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-odjakhuri-danashaulis-shesakheb-momartvianoba-bolo-6-tveshi-sagrdznoblad-gaizarda/11806?fbclid=IwAR0Sb4XJyxQ2mfGsA4TIyOPqZqi-gahh7e7si-f3GE2P4FA9OhQoPi8rCXc

თავი 4.4: პოლიციის მოვალეობები ქალის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე

,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-16 მუხლი საუბრობს პოლიციის უფლებამოვალეობებზე ოჯახში ძალადობის შემთხვევისას. აღნიშნული მუხლი პოლიციას ავალდებულებს დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღებისას და განახორციელოს კანონით განსაღვრული ღონისძიებანი. ,,ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია:

ა) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

ბ) განცალკევებულად გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, მათ შორის, არასრულწლოვანი, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს;

გ) მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;

დ) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;

ე) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და არასრულწლოვნის გადაყვანა თავშესაფარში;

ვ) მსხვერპლის სხვა ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი საცხოვრებელი ადგილიდან პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წამოღება;

ვ [1]) საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის საფუძველზე მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან და უზრუნველყოს მსხვერპლის უსაფრთხოება;

ზ) უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;

თ) ამ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი;

ი) სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოსცეს იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერი.''[40]

---

[40] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 16, 25/05/2006

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში კანონი ავალდებულებს პოლიციას თავის ანგარიშში ცალკე გამოყოს მონაცემები ძალადობის ფაქტების, მსხვერპლის რაოდენობის, მიღებული ზომების, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების თუ მოძალადის თაობაზე სხვა მონაცემების შესახებ.

პოლიიის მიერ ხდება ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი ოქმის შედგენა, რომელიც წარედგინება ზედამხედველ პროკურორს.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია საქართველოს კანონი ,,პოლიციის შესახებ''. კერძოდ, აღ. კანონის მე-3 თავი, სადაც პოლიციის ფუნქციები და უფლებამოსილებანია განმარტებული. კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, პოლიციის ფუნქციას წარმოადგენს როგორც დანაშაულისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების, მათი აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ისე, მათი გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, ასევე მოსალოდნელი საფრთხეების, რისკების, გამოწვევების ანალიზი და შესაბამისი ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება.[41] მოცემული კანონის მე-17 მუხლის მიხედვით კი, პოლიცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებს სამართალდარღვევის ფაქტებზე, კერძოდ ,, ა) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად:

ა.ა) დროებითი ღონისძიების სახით გამოსცემს შემაკავებელ ორდერს ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერს; ზედამხედველობს გამოცემული დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულებას.''[42]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისას პოლიციის როლი უმნიშვნელოვანესი და შეუცვლელია, როგორც ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და უსაფრთხოების ასპექტით, ისე მოძალადის პასუხისმგებლობისთვის.

[41] საქართველოს კანონი ,,პოლიციის შესახებ'', მუხლი 16, 04/10/2013

[42] საქართველოს კანონი ,,პოლიციის შესახებ'', მუხლი 17, პუნქტი 2, ,,ა'' ქვეპუნქტი, 04/10/2013

თავი 5: პრევენციის როლი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე

სახელმწიფომ დროულად და ეფექტურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმი ძალადობის თავიდან ასაცილებლად და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება ძალადობის თითოეულ შემთხვევაზე. ოჯახში ძალადობის პრობლემის დაძლევისთვის ან მისი თავიდან აცილებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრევენციის ღონისძიებებს. ქალთა მიმართ ძალადობის ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს:

ა) იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებია;

ბ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას;

გ) შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;

დ) იმ პირთა მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩამდენ რისკჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომლებმაც ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა ჩაიდინეს;

ე) სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანებს ჰქონდეთ ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, მოვალეობების, აგრეთვე შესაბამისი დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს უზრუნველყოფს;

ვ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებების და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას;

ზ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლისათვის დახმარებისა და დაცვის ღონისძიებების, ხოლო მოძალადისათვის – დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას;

თ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას.''[43]

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესია ადრეული პრევენცია, რაც მოიაზრებს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში მისი შეგნების ფორმირებისთვის სწორი მიმართულების მიცემას. შესაბამისად, მოზარდის განვითარების ეტაპებზე, იქნება ეს სკოლამდელი ასაკის თუ სკოლის მოსწავლეობის პერიოდი საჭიროა არაძალადობრივ ქცევაზე ორიენტირებული სწავლების კურსის შემუშავება და დანერგვა, ასევე პედაგოგების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს მოზარდმა გააცნობიეროს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პრივილეგიები, კომპრომისის მიღწევა. ასევე მან უნდა მიიღოს ცოდნა გენდერული თანასწორობის, პარტნიორთა თანასწორობის, არაძალადობრივი ოჯახური ცხოვრებისა თუ სამართლებრივი ღირებულებების შესახებ. ასევე მშობელთა ინფორმირება და ცოდნის ხარისხის ამაღლება შვილის სწორად აღზრდის და განვითარებისთვის შესაბამისი მიდგომების კუთხით.

გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რაციონალურად წარმართვა, ამ მხრივ აღსანიშია ფსიქოლოგიურ-საკონსულტაციო დაწესებულებების არსებობა. შეუცვლელი წვლილი კი საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებაში მიუძღვის მედია საშუალებებს, საინფორმაციო კამპანიებს და რაც მთავარია სამართალდამცავების საქმიანობას.

ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვისთვის უმნიშვნელოვანესია პირველი ნაბიჯების სწორად გადადგმა, ვინაიდან ძალადობის ფაქტთან, მსხვერპლთან და მოძალადესთან პირველადი შეხება აქვს პოლიციელს. მისი მხრიდან გამოვლენილი პროფესიონალიზმი დიდწილად განაპირობებს სავალალო შედეგების თავიდან აცილებას. პოლიციელის მიერ ძალადობრივ ფაქტზე რეაგირებისას, შესაბამისი ზომების განსაზღვრისა და გამოყენებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ძალადობის რისკის შეფასება და მართვა, რაც თავის მხრივ ძალადობრივი ქმედებების თავიდან აცილებისთვის ან შემცირებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

[43] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 6, პუნქტი 3, 25/05/2006

თანამედროვე მსოფლიოში პოლიციელის მიერ რისკის შეფასების სხვადასხვა მოდელი არსებობს. ერთ-ერთ წარმატებულ და საინტერესო მოდელს ესპანური მოდელი წარმოადგენს. აღნიშნული მოდელის მიხედვით,[44] პოლიციის მიერ ძალადობის ფაქტის შეტყობინებისთანავე უნდა გაიხსნას ანკეტა და სისტემაში შეივსოს საიდენტიფიკაციო მონაცემები (თარიღი, საათი, პირი, რომელმაც მიმართა პოლიციას დახმარებისთვის და ა.შ.) მსვერპლის მონაცემების განთავსების შემდეგ სისტემა აქტიურდება და ძალადობის ფაქტის აღმოფხვრისას მისი დეაქტივაცია ხდება. აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ ძალადობის ფაქტის განმეორების შემთხვევაში შესაძლებელია ამ ფაილის კვლავ გააქტიურება, რაც ეხმარება პოლიციელს ძალადობის რისკის სათანადოდ შეფასებასა და სამართლიანი ზომების მიღებაში. პოლიციელთათვის დადგენილია ერთიანი სახელმძღვანელო სტანდარტები და შეფასების ინდიკატორები. პოლიციელის მიერ რისკის შეფასებისას, ხდება არა მხოლოდ პოლიციელის მიერ რისკის შეფასება უშუალოდ ძალადობრივი ქმედების განხორციელების მომენტისთვის, არამედ მან უნდა მოახდინოს რისკის განვითარების შეფასებაც.

პოლიციელის მიერ რისკის შეფასებისას ინფორმაცია რამდენიმე კატეგორიად ივსება: პირველ მათგანში არის ინფორმაცია მსხვერპლის, მოძალადის, გაწეული დახმარების, მოწმის შესახებ. მეორე კატეგორიაში ძალადობის ფაქტის განმეორების ალბათობის შეფასება ხდება. მესამე კატეგორიაში კი განსაზღვრულია ძალადობის ფაქტის სიხშირე შემდეგი ფორმულირებით: დაბალი, საშუალო, მაღალი და ძალიან მაღალი. გარდა ამისა მიეთითება ძალადობის რომელი ფორმა თუ ფორმებია გამოყენებული თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

აღნიშნული ინფორმაცია ივსება დეტალურად პოლიციელის მიერ მსხვერპლის მონათხრობის მიხედვით. სწორედ ამ ინფორმაციის საფუძვლით, ალგორითმული მეთოდით ხდება სისტემის მიერ რისკის ავტომატურად შეფასება, რომელიც შემდეგ დონეებს მოიცავს : ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო, დაბალი, რისკი არ არის. ძალიან მაღალი დონის არსებობისას, მსხვერპლის დაცვა იწყება პოლიციის განყოფილებიდანვე, ვინაიდან მაქსიმალურად იქნეს დაცული მსვერპლი ნებისმიერი საშიშროებისგან. სწორედ ამიტომ მსხვერპლზე ხდება მუდმივი მეთვალყურეობის გაწევა, ხოლო მოძალადეზე მუდმივი კონტროლი, რაც ხორციელდება მოძალადითვის სამაჯურის გამოყენების გზით. მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში პოლიციის მიერ ხდება მსხვერპლის მუდმივი მეთვალყურეობა სახლში, სამსახურში, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

[44] სამეცნიერო ჟურნალი N1, ,,პოლიცია და უსაფრთხოება'', რედ. გ.მიქანაძე, თბ., 2018 წ. გვ .8–9

მსხვერპლის დაცვა ხდება შესაბამისი, ადეკვატური მეთოდების გამოყენებით. საშუალო რისკის დონის არსებობისას, ძირითადად ხდება პოლიციის მიერ მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანა. დაბალი რისკის არსებობისას პოლიციის მხრიდან მსხვერპლთან კონტაქტი ხორციელდება სატელეფონო ფორმით. რაც შეეხება რისკი არ არის დონის შემთხვევას, პოლიციის მიერ მსხვერპლის დახმარება კონსულტაციის ფორმით შემოიფარგლება, სადაც მსხვერპლს მიეწოდება შესაბამისი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების არსებობისას.[45]

პოლიციის მიერ განსახორციელებელი ქმედების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს რისკის განვითარების შეფასება, [46] სადაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს შესაბამისი ინდიკატორების შევსება, რომელთა შეფასება ხდება ორი მიმართულებით: მსხვერპლის და მოძალადის. აღნიშნული ინდიკატორები კონკრეტულადაა განსაზღვრული როგორც მსხვერპლის, ისე მოძალადის კუთხით.

ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ასევე მსხვერპლის დასაცავად და დასახმარებლად საერთაშორისო ინსტრუმენტებთან ერთად, პოლიციის მიერ ძალადობის რისკის შეფასება ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს, ვინაიდან ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებისთანავე იწყება ძალადობასთან აქტიური, რეალური ბრძოლა. აღნიშნული მოდელის ქართულ რეალობაზე მორგება და ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვა ცალსახად ეფექური და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება როგორც ძალადობრივი ფაქტის აღმოსაფხვრელად, ისე ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად.

[45] სამეცნიერო ჟურნალი N1, ,,პოლიცია და უსაფრთხოება'', რედ. გ.მიქანაძე, თბ., 2018 წ., გვ. 10–11

[46] სამეცნიერო ჟურნალი N1, ,,პოლიცია და უსაფრთხოება'', რედ. გ.მიქანაძე, თბ., 2018 წ., გვ. 11–12

თავი 6: მსხვერპლის იდენტიფიცირება და მისთვის სტატუსის მინიჭება

,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 თავი ეხება მსხვერპლს, მის უფლებებსა და დაცვის გარანტიებს. კანონის მე-4 მუხლი კი მსხვერპლს შემდეგნაირად განმარტავს ,,მსხვერპლი – ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა. (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი)''[47]

როგორც აღნიშნული განმარტებიდან ჩანს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებას შსს-ს უფლებამოსილ თანამშრომლებთან, საგამოძიებო ორგანოებთან და სასამართლოსთან ერთად ახორციელებს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი, რომელიც სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც არ ხდება დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემა. აღნიშნული ჯგუფის მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესი მოცემულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის 287–ე დადგენილებაში. მოცემული დადგენილების მიხედვით,[48] მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი შედგება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი 12 წევრისგან, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ იურისტი,სოციალური მუშაკი, ექიმი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტი. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის უფლებამოსილების ვადა 3 წელს შეადგენს. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე იდენტიფიცირების პროცედურის დაწყების საფუძველს წარმოადგენს , უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარდგენილი ინფორმაცია და შევსებული საიდენტიფიკაციო კითხვარი, რომელიც

[47] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 4, ,,ვ'' ქვეპუნქტი, 25/05/2006

[48] საქართველოს მთავრობის დადგენილება N287, თბ., 12 ივნისი, 2017წ.

განსახილველად წარედგინება მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს, რომელიც გადაწყვეტილებას სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ იღებს კანონის, შევსებული საიდენტიფიკაციო კითხვარის, უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარდგენილი ინფორმაციის, ასევე მის მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციისა და სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების გზით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის მოქმედების ვადა 18 თვეა.

თავი 6.1: მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის უფლებები და მისი დაცვის გარანტიები

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, ,,მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს დამცავი ორდერის ან შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, ხოლო გამოცემული დამცავი ორდერის ან შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევისას – მასზე რეაგირების მოთხოვნით;

ბ) მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის სიმძიმის გათვალისწინებით ან გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების პირობების დარღვევის შემთხვევაში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების მოთხოვნით;

გ) მიმართოს შესაბამის სასამართლო ორგანოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის მოძალადის მიერ ანაზღაურების მოთხოვნით;

ე) ისარგებლოს თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით და იქ არსებული მომსახურებით;

ვ) თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში განთავსებისას ისარგებლოს უფასო სამართლებრივი კონსულტაციით, უფასო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით და ფსიქოლოგიური დახმარებით;

ზ) თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში ყოფნისას ისარგებლოს შრომითი ურთიერთობის შეჩერების უფლებით. მისი შეჩერების ვადა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 30 კალენდარულ დღეს;

თ) მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს საქართველოში ყოფნისათვის დროებითი ბინადრობის ნებართვის მისაღებად, თუ იგი უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირია;

ი) „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე;

კ) ისარგებლოს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი დაცვის სხვა მექანიზმებით.''[49]

აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის ან პროცესის სხვა სუბიექტის დასაცავად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დაცვის სპეციალური ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მსხვერპლის სათანადო ინფორმირება მისი უფლებებისა და დაცვის გარანტიების შესახებ, შესაბამისად კანონი ავალდებულებს შესაბამის ორგანოებს, მსხვერპლს მისთვის გასაგები ფორმითა და გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების მექანიზმების, ასევე შესაბამისი სერვისების შესახებ. კანონის მიხედვით თუკი ძალადობის ჩამდენი პირი პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიას დატოვებს, იქნება ეს მისი განთავისუფლება, გაქცევა თუ სხვა რამ, შსს ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატობინოს მსხვერპლს აღნიშნული გარემოების შესახებ.

ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი იცნობს მსხვერპლის დროებით საცხოვრებელს, იგივე თავშესაფრებს. აღნიშნული კანონის მიხედვით, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი) მსხვერპლს უნდა უქმნიდეს საყოფაცხოვრებო პირობებს და

[49] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 17, 25/05/2006

უნდა უზრუნველყოფდეს მის მიერ პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებითა და ფსიქოლოგიური დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობას.''[50] არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ თავშესაფრის შექმნა დასაშვებია, იმ შემთხვევაში თუკი იგი აკმაყოფილებს ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს. თავშესაფრის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი წესდებით, რომლითაც განსაზღვრულია მსხვერპლის როგორც თავშესაფარში მოთავსების, ისე მისი რეაბილიტაციის წესი.

მსხვერპლის ვინაობის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალური ხასიათისაა, ასევე მისი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

რაც შეეხება უშუალოდ მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანის საკითხს, აღნიშნულის უზრუნველყოფას ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები, თუკი ამას თავად მსხვერპლი მოითხოვს. თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ეს ვადა გაგრძელდეს თავშესაფრის შინაგანაწესით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსხვერპლს აღარ სურს ამ პერიოდზე მეტი ხნით თავშესაფარში გაჩერება. მნიშვნელოვანი გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნული გარემოების თაობაზე შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს, რათა მათ მიერ მოხდეს შემდგომი შესაბამისი რეაგირება მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად.

ასევე აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში მას უნარჩუნდება როგორც სამუშაო ადგილი, ისე მისი თანამდებობა. აღნიშნული ფაქტი ცალსახად წარმოადგენს მსხვერპლისთვის უმნიშვნელოვანეს შრომით გარანტიას.

გარდა თავშესაფრისა კანონი იცნობს კრიზისული ცენტრის ინსტიტუტსაც, რომელიც ასევე წარმოადგენს სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილს და ემსახურება მათ

[50] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 17[2], პუნქტი 1, 25/05/2006

ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, სამართლებრივ დახმარებას და პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას.[51]

იმ შემთხვევაში თუკი მსხვერპლს არ სურს არც თავშესაფარში და არც კრიზისულ ცენტრში გადაყვანა და გამოთქვამს სურვილს დარჩეს თავისივე საცხოვრებელ ადგილას, მაშინ შემაკავებელი ან დამცავი ორდერის საფუძვლით, ხორციელდება აღნიშნული საცხოვრებლიდან მოძალადის დროებითი გარიდება, განურჩევლად იმისა არის თუ არა ეს საცხოვრებელი ადგილი მოძალადის საკუთრება.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა დახმარების და კონსულტაციის გაწევის უზრუნველყოფის მიზნით ,უფასო, 24-საათიანი მომსახურებისთვის გათვლილი სატელეფონო ნომერი, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა ხელმისაწვდომი. ასევე აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სატელეფონო სერვისის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეწოდება ინფორმაცია ძალადობის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმების და მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების შესახებ. სატელეფონო დახმარების ქსელი ფუნქციონირებს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით.

მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსებას, გარდა მისი დაცვის, მოძალადისგან გარიდების მიზნისა, მისი დახმარების მოტივაცია ახასიათებს. კერძოდ, მას ეხმარებიან პრობლემის სწორად გააზრებაში, თვითშეფასების ამაღლებაში. მსხვერპლთან მუდმივად მუშაობს სოციალური მუშაკი, რომელიც მას პრობლემების მოგვარებაში ეხმარება, უწყობს მას ხელს დასაქმებაში, აწვდის ინფორმაციას განათლების მიღების შესაძლებლობაზე და სხვა. ასევე მასთან უწყვეტ კავშირშია ფსიქოლოგი, რომელიც კონსულტაციას უწევს მას, ეხმარება სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრაში, საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღდგენაში და რეაბილიტაციაში. მსხვერპლისთვის ასევე ხელმისაწვდომია სამედინიცო მომსახურებაც, რაც მოიცავს მის სამედიცინო შემოწმებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრას და დახმარებას საჭიროების შემთხვევაში. ასევე, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას. სამართლებრივი პრობლემის არსებობის შემთხვევაში კი მასთან მუშაობს იურისტი. მისთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, ასევე სასამართლო ადვოკატირება ხდება უსასყიდლოდ. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა ეხება მსხვერპლისთვის ისეთ მნიშვნელოვან

[51] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 18[1], 25/05/2006

საკითხებს, როგორიცაა განქორწინება, ალიმენტი, ქორწინებასთან დაკავშირებული ქონებრივი დავები და დამცავი ორდერის მიღება.[52]

თავი 6.1.1. მსხვერპლის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ" მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ დარღვეული იყო სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულება, რაც გამოიხატებოდა მის უუნარობაში, დაეცვა მომჩივანი და მისი ოჯახი ძალადობისგან. აღნიშნულ საქმეში დადგინდა, როგორც სახელმწიფო უწყებების მიერ ადეკვატური ზომების მიღების უუნარობა, ასევე სასამართლო სისტემის უუნარობა, ადეკვატური და შესაბამისი ზომები მიეღო ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად. [53]

ასევე, სასამრთლოს მიერ დადგინდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლის (არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობა) და მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა.

ფაქტობრივი გარემოებები:

მომჩივანის მეუღლის მიერ წლების განმავლობაში პერმანენტულად ხდებოდა როგორც მომჩივანის, ასევე მისი დედის მიმართ ძალადობრივი ქმედებების განხორციელება. რიგ შემთხვევებში მათი დაზიანებების ხარისხი იყო სიცოცხლისთვის საშიში, ვინაიდან სახეზე იყო ცემის, მანქანის დაჯახების ფაქტები, რა დროსაც მომჩივანის დედას მიადგა სერიოზული ზიანი და ასვე თავდასხმის ფაქტი, როდესაც უშუალოდ მომჩივანმა მიიღო სხეულზე 7 ჭრილობა. სახელმწიფო ინფორმირებული იყო აღნიშნული ძალადობრივი ფაქტების არსებობის თაობაზე, ვინაიდან მომჩივანის, მისი დედის მიერ შეტანილ იქნა საჩივარი მომჩივანის მეუღლის მიმართ, რის საფუძველზეც დაიწყო მისი სისხლისსამართლებრივი დევნა ისეთ დანაშაულზე, როგორიცაა: მკვლელობის მცდელობა, მძიმე თავდასხმა, სიკვდილის მუქარა. თუმცა, მომჩივანის და მისი დედის მიერ მოხდა საჩივრის გამოტანა, მომჩივანის მეუღლის მხრიდან სავარაუდო ზეწოლის

[52] გავერთიანდეთ ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად და ქალებისა და გოგონების გასაძლიერებლად საქართველოს უკეთესი მომავლისათვის'', თბ., 2016 წ., გვ.31–33
[53] Opuz. v Turkey https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-92945%22]}

გამო. აღნიშნული სიტუაციის გათვალისწინებით, სასამართლო პროცესი გაგრძელდა მხოლოდ მეუღლის დაჭრის და მანქანის დაჯახების ფაქტზე. მომჩივანის მეუღლე დამნაშავედ იქნა ცნობილი დანაშაულის ორივე შემთხვევაში და მას პირველი დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა სამ თვიანი პატიმრობა, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ჯარიმით და მეორე დანაშაულისთვის მას დაეკისრა ჯარიმის ნაწილ-ნაწილ გადახდა. აღნიშნული ძალადობრივი ქმედებების კულმინაცია გახდა მომჩივანის დედის მისამართით სასიკვდილო გასროლა, რომლისთვისაც მომჩივნის მეუღლეს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგად ის გათავისუფლდა და განაგრძო მეუღლეზე ძალადობის მუქარა. შესაბამისად, მომჩივანის მხრიდან კვლავ მოხდა სახელმწიფო უწყებებისთვის დასახმარებლად მიმართვა, მაგრამ მხოლოდ, 7 თვის შემდეგ, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოითხოვა ინფორმაცია, განხორციელდა მომჩივანის დასაცავად გამიზნული ქმედებები სახელმწიფოს მიერ.

აღსანიშნია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, რომლის მიხედვით, (ქალთა ძალადობისგან დაცვის თაობაზე) სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და განავითარონ ძალადობასთან საბრძოლველად ეროვნული მექანიზმები. ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უნდა ჰქონდეს ეფექტური დაცვის საშუალება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზეა სახელმწიფოს მხრიდან მისი პოზიტიური ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რაც მოიაზრებს სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების სათანადო დაცვას და შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრევენციას. ვინაიდან სახელმწიფო ინფორმირებული იყო მომჩივანის, მისი დედის სიცოცხლის რეალური და პირდაპირი რისკის თაობაზე, მომჩივანის მეუღლის მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი ქმედებებიდან გამომდინარე, მას უნდა უზრუნველყო სპეციალური ღონისძიებების გატარება აღნიშნული პირების დასაცავად, ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან საკითხის გონივრული განსჯის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ამ შედეგის თავიდან აცილება.

აღნიშნული საქმის გარემოებების გათვალისწინებით სახეზეა მომჩივანის და მისი დედის მიმართ განხორციელებული მზარდი და ხანგრძლივი ძალადობა, რომელიც საკმარისად მძიმე ხასათის იყო იმისთვის, რომ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულიყო შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, ვინაიდან აშკარად იკვეთებოდა მათი სიცოცხლის და ჯანმრთელობის მუდმივი საფრთხე, მომჩივნის მეუღლის მიერ წარსულში განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები ქმნიდა მნიშვნელოვან რისკს

მომავალში ძალადობრივი ქმედებების განმეორებისა. ასევე სახელმწიფოსთვის ცნობილი იყო მოცემული სიტუაცია და პლიუს ამას მკვლელობამდე ორი კვირით ადრე მომჩივანის დედის მიერ მოთხოვნილ იყო საქმეში პოლიციის ჩარევა, ვინაიდან მისი თქმით საფრთხე ემუქრებოდა მის სიცოცხლეს, შესაბამისად სასიკვდილო თავდასხმის შესაძლებლობა აშკარა იყო.

აღნიშნულ საქმეში ცალსახაა, რომ სახელმწიფო უწყებების მიერ არ მომხდარა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, ვიანიდან: რაც უფრო სერიოზულია დანაშაული და მაღალია მომავალში მისი ჩადენის რისკი, პროკურატურამ საჯარო ინტერესიდან გამომდინარე უნდა გააგრძელოს სს. დევნა იმ შემთხვევაშიც თუკი დაზარალებული გამოიტანს საჩივარს. აღნიშნულ საქმეში სს. დევნის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დანაშაულის სიმძიმე, სერიოზულობა, დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი, მოძალადე, მისი კრიმინალური წარსული, მის მიერ დანაშაულის განმორებით ჩადენის რისკი, დაზარალებულის უსაფრთხოება და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი გარემოება.

მოცემულ საქმეში, მიუხედავად მოძალადის ქმედებებისა, სახელმწიფო უწყებებმა რამდენჯერმე შეწყვიტეს სს. დევნა, მათ ყურადღება არ გაამახვილეს საჩივრის გამოტანის მოტივზე და არ მოახდინეს სათანადო რეაგირება ოჯახურ საკითხზე.

მომჩივანის და მისი დედის მიმართ განხორციელებული ძალადობა შეიძლება ჩაითვალოს გენდერულ საფუძველზე განხორციელებულ ძალადობად, რომელიც დისკრიმინაციული ხასიათისაა.

დასასრულისას კი ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესების და პრინციპების მიხედვით, სახელმწიფოს უუნარობა, განუზრახველიც კი, დაიცვას ქალები ოჯახში ძალადობისგან არღვევს მათ უფლებას ისარგებლონ კანონის დაცვის თანაბარი მექანიზმებით.

თავი 6.1.2. მსხვერპლის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგადაწყვეტლების „ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ" მიხედვით

2016 წლის 23 თებერვლის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საქმეზე „ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ" [54] [55] დადგინდა, რომ დარღვეულ იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით აღიარებული და გარანტირებული სიცოცხლის უფლება. მოცემულ საქმეში მომჩივანების მამის მიერ განხორციელდა მათი დედის, სელმა ცივეკის მკვლელობა. სასამართლომ საქმის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ამ საქმეში თურქეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო გონივრული ზომების მიღება და განხორციელება, რათა თავიდან აეცილებინა მომჩივანების დედის სიცოცხლის მოსპობის ფაქტი. აღსანიშნია ის გარემოება, რომ სახელმწიფო ორგანოები ინფორმირებულ იყვნენ გარდაცვლილის მიმართ განხორციელებული სიცოცლის მოსპობის აშკარა და სერიოზული მუქარისა, ვინაიდან მომჩივანების დედის მხრიდან წარდგენილ იყო არაერთი საჩივარი აღნიშნული ფაქტის შესახებ.

ფაქტობრივი გარემოებები:

1987 წელს მომჩივანების დედა, სელმა ცივეკი დაქორწინდა ჰ.ს -ზე . წყვილს შემდეგ ურთიერთობა აერია და ქალბატონი ცივეკი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანკარის მსხვერპლ ქალთა თავშესაფარში გადავიდა საცხოვრობლად. 2009 წელს კი ის დაბრუნდა შვილებთან, სახლში. მას შემდეგ მასზე კვლავ განხორციელდა ოჯახური ძალადობა და 2010 წლის 14 ოქტომებრს მან სასამართლოში სარჩელი წარადგინა ამ ფაქტთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ქალბატონი ცივეკის მეუღლე დააპატიმრეს. მას დაევალა დაეტოვებინა ის სახლი, სადაც ისინი ქორწინების შემდეგ ცხოვრობდნენ. ასევე მას თავი უნდა შეეკავებინა მეუღლის წინააღმდეგ მიმართული ნერბისმიერი ძალადობრივი ქმედებისა თუ მუქარისაგან. ქალბატონმა ცივეკმა გამოიხმო საჩივარი და დაიწყო განქორწინების საქმე.

2010 წლის 12 ნოემბერს ჰ.ს. სასამართლო ზედამხედველობის საფუძველზე გათავისუფლდა, 23 ნოემბერს კი ქალბატონმა ცივეკმა კვლავ წარადგინა საჩივარი, რომელშიც იგი აცხადებდა, რომ მისი მეუღლე

[54] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბ., 2016წ., გვ.92– 94

აგრძელებდა ძალადობას მის მიმართ და მოკვლით ემუქრებოდა. 2010 წლის 17 დეკემბერს ქალბატონი ციეკის მიერ კვლავ განხორციელდა საჩივრის წარდგენა, რის საფუძველზეც ჰ.ს.-ს ბრალად დაედო სიცოცხლის მოსპობის შესახებ მუქარა, მის მიერ ასევე არ მოხდა დამცავი ორდერით დაკისრებული მოვალეობების შესრულება. უსაფრთხოების სამსახურმა დაკითხა სელმას შვილები, რომლებმაც დაადასტურეს დედის ჩვენება. მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით პროკურატურამ ჰ.ს.-ს ბრალი წაუყენა.

2011 წლის 14 იანვარს კი ჰ.ს.-ს მიერ განხორციელდა ციეკის მკვლელობის ფაქტი, კერძოდ გარდაცვლილს 22 ჭრილობა ჰქონდა დანით მიყენებული. აღნიშნული მკვლელობის განხორციელება სელმა ციეკის მიმართ მოხდა ქუჩაში. ჰ.ს.-ს კი სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

აღნიშნულ საქმეში მომჩივნები მიუთითებდნენ, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა ვალდებულება დაეცვა მათი დედის, სელმას სიცოცხლის უფლება, რომელიც აღიარებული და გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით, ასევე ისინი მიუთითებდნენ კონვენციის მე-14 მუხლზე, ვინაიდან ქალბატონი სელმა გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი სქესის ნიშნით.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით დადგინდა , რომ სახელმწიფო უწყებებისთვის ცნობილი იყო მეუღლეებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის შესახებ, ასევე სელმას მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ფაქტების შესახებ, ვინაიდან ქალბატონმა ციეიკმა არაერთი საჩივარი შეიტანა მის მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებთან თუ მუქარასთან დაკავშირებით. ასევე, აღნიშნული გარემოებანი დადასტურებული იყო მათი შვილების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მხრიდან არაერთი ღონისძიება გატარდა ჰ.ს.-ს წინააღმდეგ, (მაგალითად მისი სს.დევნა, დაპატიმრება, სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა) მისი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, ანუ 2010 წლის 12 ნოემბრის შემდგომ, ხელისუფლების მხრიდან აღარ მომხდარა სათანადო ზომების მიღება, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული დამდგარი სასიკვდილო შედეგი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების მიერ არ მომხდარა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რომელიც იქნებოდა ეფექტური დაცვის საშუალება სელმას სიცოცხლის უფლების სათანადო დაცვისთვის. ქალბატონი ციეკის მეუღლის

გათავისუფლებით, სახელმწიფომ პრაქტიკულად მისცა ჰ.ს.-ს საშუალება, რომ 2011 წლის 14 იანვარს ცოლი ქუჩაში მოეკლა.

სასამართლომ საქმეში დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ იცოდა სელმას მიმართ არსებული აშკარა და სერიოზული საფრთხის რეალური არსებობის შესახებ და მან არ განახორციელა ქმედითი ღონისძიებები ქალბატონი ცივეკის სიცოცხლის უფლების დასაცავად.

თავი 6.2: მოძალადე, მისი უფლებები და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ასპექტები

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დამხარების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, მოძალადე განმარტებულია როგორც ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ძალადობის შემდეგი ფორმით ან ფორმების გამოყენებით: უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით. ასევე, ,,მოძალადედ მიიჩნევა ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას.'' [56]

აღნიშნული კანონის მე-20 მუხლი კი საუბრობს მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების შესახებ, რაც გულისხმობს ,,მოძალადის მიერ ძალადობრივი ქცევის შეცვლისკენ და მისი ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ძალადობის განმეორების თავიდან აცილება და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოძალადის მიერ ძალადობრივ ქცევასა და მის შედეგებზე პასუხისმგებლობის აღიარება, აგრეთვე მის დამოკიდებულებებსა და ქცევაში მიღწეული დადებითი ცვლილებების შენარჩუნება. მათ მისაღწევად კი მნიშვნელოვანია მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. მოძალადის

[56] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 4, ,,თ'' ქვეპუნქტი, 25/05/2006

დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.''[57]

2011 წლის 13 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია,[58] აღნიშნული კონცეფციის მიზანს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და ოჯახის სხვა წევრთა დაცვა, დახმარება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება, (მათ შორის სავალდებულო სწავლების კურსი), ასევე კონცეფციის მიზანია აღ. ღონისძიებების დანერგვისა და გატარების ხელშეწყობა. მოცემული ღონისძიებები გათვლილია ასევე იმ პირებისათვის, რომლებიც უკვე სასჯელს იხდიან ან იმყოფებიან პირობითი მსჯავრის ქვეშ იმ ქმედების გამო, რომელიც უკავშირდება მათ მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტების ჩადენას. კონცეფცია წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას მოძალადეთა ქცევების შედეგად დამდგარი ზიანის შემცირების საჭიროებაზე, იგი ადგენს ძირითად მიმართულებებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს ერთიან მიდგომას ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელების კუთხით.

ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია დამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის, „ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების გათვალისწინებითა და საფუძვლით. ასევე, მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც აისახა საკანონმდებლო ცვლილება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში მოძალადემ უნდა გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი.

მოძალადეთა რეაბილიტაცია უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად, ვინაიდან იგი შეუცვლელ ზემოქმედებას ახდენს ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების, მათი ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების, კონსესუსის მიღწევის, ოჯახის ერთიანობის უზრუნველსაყოფის კუთხით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით,

[57] საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', მუხლი 20, 25/05/2006
[58] საქართველოს მთავრობის განკარგულება N55, თბ., 13 იავნვრი, 2011წ.

მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მოძალადეთა რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც თანხვედრაში იქნება საქართველოს კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ მდგომარეობის ფაქტორთან.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ის უზენაესი ღირებულებებია, რომელთა ეფექტური დაცვისა და რეალიზაციის საშუალებებით განისაზღვრება სახელმწიფოს დემოკრატიის ხარისხი, შესაბამისად, ყველა ადამიანი კანონით თანაბრად უნდა იყოს დაცული და მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, თუ სად ირღვევა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ოჯახს შიგნით თუ მისი არიალის გარეთ.

ოჯახში ძალადობა, როგორც უკვე არაერთგზის ითქვა, განსაკუთრებული სიმწვავითა და საშიში ხასიათით გამოირჩევა, რასაც განაპირობებს ის ძირითადი ფაქტორი, რომ ამგვარი ძალადობა ხდება ოჯახში, სადაც ნდობისა და დაცულობის ხარისხი ადამიანებს შორის ყველაზე მაღალი უნდა იყოს. ყოველივე აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო საშუალება, ბერკეტი გამოიყენოს.

ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შესავალი ნაწილის მიხედვით ,,მოძალადეთა ქცევის შეცვლასთან დაკავშირებული რეაბილიტაციის საკითხების განიხილვა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ყველა შემთხვევაში დაცული და პრიორიტეტული იყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, ოჯახის სხვა წევრთა უსაფრთხოება. ამ მიზნით, სახელმწიფო მხარს უჭერს ოჯახში მოძალადეთა მიმართ ადეკვატური ღონისძიებების შემუშავებას და მათ დანერგვას.''[59]

ოჯახში ძალადობის პრევენციის კუთხით, სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი ოჯახში ძალადობის გამოვლენა, მისი აღკვეთა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ადეკვატური, ეფექტური საკანონმდებლო გარანტიების შექმნა უნდა იყოს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი საჭიროა, როგორც ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, სოციალური რეაბილიტაცია, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სამართლებრივი დაცვა და უზრუნველყოფა, მათზე ზრუნვა და დახმარება, ისე მოძალადეთა ძალადობრივი დამოკიდებულებების, მათი ქცევის შეცვლაზე ზრუნვა. ამ ყოველივეს კი უპირველეს ყოვლისა, სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან სწორი პოლიტიკის შემუშავება და გატარება.

[59] საქართველოს მთავრობის განკარგულება N55, თბ.,13 იანვარი, 2011 წ.

თავი 7: დასკვნა

ქალის მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს, მას არ გააჩნია საზღვრები და გვხვდება ყველგან სხადასხვა სიმწვავითა და სიხშირით, განურჩევლად კულტურული, ეთნიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური ფაქტორისა. აღნიშნული პრობლემა არის როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი და მასთან იკვეთება როგორც განათლების მაღალი ისე დაბალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები.[60]

ძალადობა ხორციელდება ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების მიზნით. მოძალადეს სურს, რომ დათრგუნოს მსხვერპლის ნება, მართოს იგი და იბატონოს მასზე, ამ მიზნის მისაღწევად კი ის მიმართავს ძალადობრივ გზებს.

უშუალოდ ოჯახში ძალადობის პრობლემა კი მეტად სენსიტიური ხასიათისაა, ვინაიდან იგი ხორციელდება დახურულ კარს მიღმა, სადაც მსხვერპლი განსაკუთრებით დაუცველია. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ციკლური ბუნება, ძალადობის ზრდის ტენდენციით, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს აღნიშნულ დილემას. მის სირთულეს და სიმწვავეს განაპირობებს ოჯახში ძალადობის პრობლემის დაფარული, ტაბუირებული ხასიათი, რაც მოძალადეს საშუალებას აძლევს, განაგრძოს თავისი ძალადობრივი ქმედებები.[61]

ძალადობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვასთან. უფრო მეტიც, ის უშუალოდ ისეთ ფუნდამენტურ უფლებებზე გადის, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, ადამიანის ღირსების, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობისა და თანასწორობის უფლება. შესაბამისად, არაორაზროვანია, რომ აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლა საჭიროებს განსაკუთრებული ძალისხმევის გამოვლენას დემოკრატიული სახელმწიფოს მხრიდან.

სახელმწიფოს მიერ სწორი პოლიტიკის შემუშავება და გატარება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრობლემასთან საბრძოლველად მოითხოვს სერიოზულ ძალისხმევას და გულისხმიერებას. სახელმწიფომ თავის პრიორიტეტად უნდა გამოაცხადოს ძალადობასთან ბრძოლა და მომართოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, რათა ერთიანი ძალებითა

[60] სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2018წ., გვ 100
[61] სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2017წ., გვ.57–58

და მექანიზმებით მოხდეს ეფექტური, ადეკვატური, რეზულტატური ღონისძიებების განხორციელება.

ძალადობასთან ბრძოლისთვის ყველაზე ეფექტური და შედეგიანი ნაბიჯი მისი პრევენციაა. პრევენცია, რომელიც საწყისი ეტაპიდან აიღებს სათავეს, რაც მოიაზრებს, სკოლამდელ თუ შემდგომი ასაკის ბავშვების სასწავლო პროგრამებში ანტიძალადობრივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ქალთა თანასწორუფლებიანობის, ძალადობის თავიდან აცილების, კონფლიქტების არაძალადობრივად მოგვარების შესწავლას, ვინაიდან ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში, მისთვის სწორი ღირებულებებისა და ფასეულობების მიცემა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მისი შეგნების ფორმირებაში. ბავშვი, რომელსაც ბაღის ასაკიდან ეცოდინება მისთვის შესაბამისი ფორმით მიწოდებული ანტიძალადობრივი მესიჯები, რომ ძალადობა სუსტი ადამიანების არჩევანია, ძალადობა ჩაგვრაა და უსამართლობა, ნაკლებ სავარაუდოა ჩამოყალიბდეს მოძალადედ. უნდა გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებისთვის, საზოგადოებამ უნდა იცოდეს და აღიარებდეს, რომ ოჯახში ძალადობა პრობლემაა, ადამიანის უფლებების დარღვევაა და დღის სინათლეზე უნდა გამოვიდეს თითოეული ასეთი ქმედება. ძალადობის მსხვერპლს უნდა ჰქონდეს არა სირცხვილის არამედ საკუთარი თავისა და ღირსების დაცვის, სახელმწიფოსა და საზოგადოების გვერდით დგომის შეგრძნება. სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლება თითოეულ მოქალაქეს ასწავლის, რომ მის მეზობლად მცხოვრები ქალის მიმართ, მისი ქმრის მიერ განხორციელებული ძალადობა მხოლოდ ამ ქალის პირადი პრობლემა არ არის და არ შეიძლება თვალების ფართოდ დახუჭვა მსგავს სიტუაციაში. თუკი საზოგადოება ხმას აიმაღლებს ძალადობის ფაქტებზე, გვერდით დაუდგება ძალადობის მსხვერპლს, მაშინ აუცილებლად დაძლევადი იქნება აღნიშნული საკაცობრიო პრობლემა.

ცალსახად მნიშვნელოვანია მედია საშუალებების აქტიური ჩართულობა, მათი მხრიდან ძალადობრივი ფაქტების სწორი რაკურსით გაშუქება. სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი კამპანიების წარმოების ფარგლებში შემუშავებული ანტიძალადობრივი ვიდეორგოლების, გადაცემებისა თუ თოქ-შოუების გაშუქება ტელევიზიების მიერ. ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად არსებული პროგრამების, თავშესაფართა ქსელებისა და სხვა დახმარების მექანიზმების არსებობის შესახებ, ვინაიდან ხშირად ძალადობის მსხვერპლი ქალები არ ახდენენ შესაბამის რეაგირებას ძალადობრივ ფაქტებზე, რადგან მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ასეთი ღონისძიებების არსებობის შესახებ.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა იმ მოქმედებისა თუ უმოქმედობისთვის, რომელიც მისი წარმომადგენელი ორგანოების მეშვეობით ხორციელდება, შესაბამისად უმნიშვნელოვანესია აღნიშნული ორგანოების მხრიდან პროფესიონალიზმის გამოვლენა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე. დამცავი ორდერის კუთხით, სასამართლო წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოს და მისი მხრიდან უნდა მოხდეს მოსალოდნელი ძალადობის პრევენცია და განხორციელებულ იქნეს ეფექტური და ადეკვატური ნაბიჯები საფრთხის თავიდან ასარიდებლად. შესაბამისად საჭიროა მოსამართლეთათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება, ახალი სტანდარტების, მიდგომების გაცნობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, რათა ამ მიმართულებით მეტად დაიხვეწოს და განვითარდეს სასამართლო პრაქტიკა.

დამცავი და შემაკავებელი ორდერები საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას. მიმაჩნია, რომ ნაშრომში განხილული ესპანური მოდელის ჩვენს რეალობაზე გადმოტანა და მორგება, ეფექტური ღონისძიება იქნება აღნიშნული ორდერების ქმედითუნარიანობისთვის, მათი შედეგიანობისთვის. ცალსახაა, რომ დამცავი და შემაკავებელი ორდერების მნიშვნელობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე გამორჩეულია. უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფოს მხრიდან მეტი გულისხმიერების გამოჩენას, რათა მისი სახელით მოქმედმა ორგანოებმა ჯეროვნად შეასრულონ დაკისრებული ვალდებულებები. და ბოლოს, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აქტუალურ პრობლემასთან საბრძოლველად აუცილებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ საკითხის რეალურ პრობლემად აღიარება, მასთან ბრძოლის სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადება და ერთობლივი ძალისხმევის გამოვლენა ძალადობის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, რათა თითოეულ პიროვნებას ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა იცხოვროს ძალადობის გარეშე.

რეკომენდაციები გადასადგმელ ნაბიჯებთან დაკავშირებით:

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრობლემის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები: პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, დამნაშავეთა სათანადო დასჯის და სხვა გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

პრევენციის ღონისძიებები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, შესაბამისად, ადრეული პრევენცია- ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში მისი შეგნების ფორმირებისთვის სწორი მიმართულების მიცემა, მოზარდისთვის სწორი ღირებულებების ჩამოყალიბება და არაძალადობრივ ქმედებაზე ორიენტირებული კურსის სწავლება დიდწილად განაპირობებს ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოების არსებობას.

მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კამპანიების რეგულარული წარმოება: გენდერული თანასწორობის, არაძალადობრივი ოჯახური თანაცხოვრების პროპაგანდა.

ძალადობის პრობლემის დასაძლევად აუცილებელია მედია საშუალებების აქტიური ჩართულობა, ოჯახში ძალადობის პრობლემატიკის გასაშუქებლად. ასევე ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენელთათვის ტრენინგების ჩატარება ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

განათლება და პროფესიონალთა ტრენინგები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრობლემის გაანალიზებაში, შესაბამისად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ქალთა თანასწორუფლებიანობის, ძალადობის თავიდან აცილების, კონფლიქტების არაძალადობრივად მოგვარების კუთხით. ასევე, მოსამართლეების, სკოლის პედაგოგებისა თუ ფსიქოლოგების, პოლიციელების დატრენინგება.

უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტად გამოცხადება სახელმწიფოს მიერ.

მსხვერპლთა მიმართ გასატარებელი ღონისძიებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ სარეაბილიტაციო პროგრამების, ასევე თავშესაფართა ქსელის დახვეწა და განვითარება. გადასახედია მსხვერპლის თავშესაფარში ყოფნის ვადის საკითხიც და მათთვის შესაბამისი ვადის შეთავაზების განხორციელება, ასევე არასრულწლოვანთა ქორწინების, იძულებითი ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლისთვის ქმედითი ნაბიჯების შემუშავება. მსხვერპლისთვის კომპენსაციის მექანიზმის შემუშავება, მისი რაოდენობის

და გაცემის სიხშირის განსაზღვრა; მსხვერპლის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმის შემუშავება; მისთვის პროფესიული კურსების გავლის ხელშეწყობა და დაფინანსება.

უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამების ინსტიტუციონალიზაცია და დახვეწა ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის; ასევე მათთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის შეუზღუდავად უზრუნველყოფა.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სახელმწიფოს მიერ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვას, სამართალდამცავი ორგანოების მიერ დროული და ეფექტური ნაბიჯების გადადგმას, რაც პირველ რიგში, სწორედ დამცავი და შემაკავებელი ორდერების დახვეწასა და სრულყოფას მოითხოვს. ასევე, მათი არსის გაცნობიერებას და მნიშვნელობის ხარისხის განსაზღვრას ძალადობის პრობლემის დაძლევაში. და რაც ყველაზე მთავარია სახელმწიფოს, საზოგადოების, მედია საშუალებების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთიან, კოორდინირებულ, შეთანხმებულ მუშაობას ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, რათა ერთმნიშვნელოვნად და გადაჭრით ვუთხრათ უარი ძალადობას.

ბიბლიოგრაფია:

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' 25/05/2006;

საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ' 02/05/2014;

საქართველოს კანონი ,,პოლიციის შესახებ'' 04/10/2013;

საქართველოს კანონი ,,გენდერული თანასწორობის შესახებ'' 26/03/2010;

საქართველოს მთავრობის დადგენილება N287, თბ., 12 ივნისი, 2017წ;

საქართველოს მთავრობის განკარგულება N55, თბ., 13 იანვარი, 2011წ;

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1079, 2006 წ., 11 სექტემბერი;

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 333, 2010 წ., 24 მარტი;

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 10.12.1948წ;

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია 11/05/2011;

გაეროს კონვენცია ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' 18. 12. 1979წ;

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი,16/12/1966;

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 16/12/1996წ;

ლიტერატურა:

სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის, გ.გოგიბერიძე, მ.ფერაძე, გ.მიქანაძე, ნ.სააკაშვილი; თბ., 2011წ.,

სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2017წ.,
(თსუს იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პერიოდული გამოცემა);

სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2018წ.,
(თსუს იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პერიოდული გამოცემა);

,,საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში'', თბ., 2017 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევისა და ანალიზის ცენტრი;

სამეცნიერო ჟურნალი N1, ,,პოლიცია და უსაფრთხოება'', რედ. გ.მიქანაძე, თბ., 2018 წ;

შიშისგან დაცული ძალადობისგან დაცული, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, ევროპის საბჭო, რედაქტირებული ვერსია, 2015 წ;

კრიმინოლოგია, შალიკაშვილი მ., სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2017წ.,

" გავერთიანდეთ ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად და ქალებისა და გოგონების გასაძლიერებლად საქართვლოს უკეთესი მომავლისათვის'', თბ., 2016 წ.,

STANDARDS OF INVESTIGATING GENDER-RELATED CRIMES, 2018; (international practice review);

სასამართლო გადაწყვეტილებები:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბ., 2016წ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ,,ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ'';

Opuz v. Turkey https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-92945%22]};

ელექტრონული რესურსები:

ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (სამუშაო ვერსია),

https://police.ge/files/pdf/dzaladobis%20strategia%20saitze%20dasadebi.pdf;

https://info.police.ge/page?id=125&parent_id=102

https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-odjakhuri-danashaulis-shesakheb-momartvianoba-bolo-6-tveshi-sagrdznoblad-gaizarda/11806?fbclid=IwAR0Sb4XJyxQ2mfGsA4TIyOPqZqi-gahh7e7si-f3GE2P4FA9OhQoPi8rCXc